*დანართი*

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის

**მიხეილ კაკაურიძის**

2024-2025 წლის ანგარიში

2024 წლის ნოემბერ-დეკემბერსა და 2025 წელს აქტიურად ვიყავი ჩართული საკრებულოს საკომისიო მუშაობაში, კერძოდ:

9 ჯერ დავესწარი ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის სხდომას, განვიხილეთ და მივიღეთ 57 საკითხზე გადაწყვეტილება;

ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების 17 სხდომას დავესწარი და განვიხილეთ და მივიღეთ 158 საკითხზე გადაწყვეტილება;

დავესწარი საკრებულოს 10 სხდომას, სადაც განხილული იქნა და გადაწყვეტილება მივიღეთ კომისიების მიერ მხარდაჭერილ საკითხებზე, რომლებთან დაკავშირებით

საკუთარი მოსაზრებები გავაჟღერე სხდომაზე და რიგ შემთხვევებში უმრავლესობისგან განსხვავებული ხედვები დავაფიქსირე.
ზემოთ აღნიშნულ პერიოდში შევიმუშავე, დავაინიცირე და წინადადებებით მივმართე, როგორც საკრებულოს ისე მერიასა და სახელმწიფო სტრუქტურებს მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი გამოწვევების დასაძლევად. კერძოდ:

- საქართველოს მტავრობის ადმინისტრაციასა და ქ. თბილისის მერს გლდანის განვითარების გეგმა, რაც ითვალისწინებს ფაქტიურად გლდანამდე შემოყვანილი სარკინიგზო ხაზის ფუნქციონირებით ეკონომიკური აქტივობის კერების შექმნას და ურბანული საკითხების მოწესრიგებას;
- საქართველოს პარლამენტში კანონპროექტით შევედი თვითმმართველობის კოდექსში ცვლილებების საჭიროების თაობაზე, რაც ითვალისწინებს ადგილობრივი მუნიციპალური ხარჯების შემცირებას ხელოვნურად გაზრდილი ბიუროკრატიის გამორიცხვით;
- გარემოს დაცვის სამსახურს დასარგავი ხეების სახეობების შერჩევისა და განტავსების წესის დამკვიდრების აუცილებლობის თაობაზე მივმართე ქალაქში მომრავლებული ახალდარგული ხეების ხმობიდან გამომდინარე;
- საქრთველოს პარლამენტის თავმჯდომარეს მივმართე საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალური არჩევნების სრულად მაჟორიტარულ წესზე გადასვლას. აღნიშნული შესაძლებელს გახდის პარტიებმა აქცენტები გაკეთონ კეთლსინდისიერ ადამიანებზე, რომლებიც ადგილობრივი საზოგადოების ნდობით სარგებლობენ. შესაბამისად პარტიების გამსხვილების გამსხვილების და გაკეთილშობილების პროცესი დაიწყება;
- გლდანის გამგეობას არაერთხელ მივმართე ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების შესაბამისად, მათ წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტის მიზნით კონკრეტული მუნიციპალური პროექტების განსახორციელებლად;
- თბილისის მერთან შუამდგომლობით შევედი სპორტული ცხოვრების დამკვიდრების, პოპულარიზაციისა და ხელშეწყობის მიზნით, ასევე ქალაქისა და ქვეყნის წინაშე არსებული დამსახურებების საპატივცემულოდ ცნობილი ქართველი ფეხბურთელების სახელობის(გარდამავალი) საფეხბურთო ტურნირის ჩატარების თაობაზე, რომლის მონაწილეთა ასაკი საჭიროა აღემატებოდეს 35 წელს. აღნიშნული ნაკარნახევია იმ რეალობიდან, რომ განსაკუთრებით მაღალი ინტერესი გაუჩნდეთ აქტიურ სპორტს დანებებულ პირებს და იყვნენ კონკურენტუნარიანები;

- თბილისის მერს მივმართე არსებული უსაფრთხოების კუნძულების პრაგმატული დატვირთვის ამაღლებისა და მათი მოწყობა-ექსპლუატაციისთვის საბიუჯეტო სახსრების გამონთავისუფლების მიზნით მათი იურდიულ პირებზე გადაცემის თაობაზე, სადაც განათავსებენ სარეკლამო მაკეტებს(მაგალითად ტურისტულ კომპანიებისთვის ღირსშესანიშნაობების მაკეტები ან კონკრეტული პროდუქციის მწარმოებელი კომპანიისთვის საკუთარი პროდუქტის მაკეტი);
- ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს კონკრეტული სივრცეების ახლებურად საგზაო მოზრაობის ორგანიზებისა და ინფრასტრუქტურის ხელახალი მოწყობის თაობაზე მივმართე, პირველ რიგში საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამართულად ფუნქციონირების მიზნით;
- ამომრჩევლებთან კომუნიკაციის შედეგად დროდადრო წერილობით და ზეპირ შუამდგომლობას ვახდენდი ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამის სამსახურებთან წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტის მიზნით, რაც ნაწილობრივ შედეგობრივი იყო და მომავალში მათი გადაწყვეტის იმედად ვრჩებით.

ქვეყანაში არსებული მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით კომუნიკაცია მქონდა სხვადასხვა პოლიტიკურ გაერთიანებების წარმომადგენლებთან და საზოგადოებრივად აქტიური ჯგუფების წევრებთან რათა გამეცნო საკუთარი ხედვები და თავიდან აგვეცილებია პრაქტიკულად პოლიტიკური პროცესის წყვეტა. სამწუხაროდ მზად ვერ აღმოჩნდა ოპოზიციის ძირითადი ნაწილი გამოსულიყო რევანშის ეიფორიიდან და საკუთარ თავს საბოლოო განაჩენი გამოუტანეს 4 ოქტომბერს, როგორც დაანონსებული რევოლუციის ჩავარდნით ისე არჩევნებში განცდილი სამარცხვინო მარცხით. რეალურად თვითლიკვიდაცია განიცადეს ოთხივე ბარიერგადალახულმა პარტიამ და საჭიროა დროულად ჩანაცვლდნენ კონკურეტუნარიანი და კონსტრუქციული პოლიტიკური გაერთიანებებით. მნიშვნელოვანია ახალმა გაერთიანებებმა შიდადემოკრატიის მაღალი ხარისხი შესთავაზოს საზოგადოებას რათა საინტერესო იყვნენ საზოგადოებაში დადებითი რეპუტაციის მქონე პირებისთვის და ხელისუფლების რეალური ალეტერნატივა შესთავაზოს ამომრჩეველს.

საკრებულოს წევრი მიხეილ კაკაურიძე